თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2022 წლის 5 მაისის სხდომის

ო ქ მ ი N 3

2022 წლის 5 მაისს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, მარიამ ჩხარტიშვილი, ვახტანგ გოილაძე, ეკა კვაჭანტირაძე, ავთანდილ სონღულაშვილი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ქეთევან ხუციშვილი, ნინო მინდაძე, როლანდ თოფჩიშვილი, სალომე ოქრუაშვილი, ლიანა ბითაძე.** საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევნები**.
2. **მიმდინარე საკითხები.**

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევნები.

ლავრენტი ჯანიაშვილმა სამეცნიერო საბჭოს მოახსენა, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხლმძღვანელთა საარჩევნო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებულია შემდეგი კანდიდატურები:

ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - ლევან გორდეზიანი;
შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - მარიამ ჩხარტიშვილი;
ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - ავთანდილ სონღულაშვილი;
საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - ქეთევან ხუციშვილი;

კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - როლანდ თოფჩიშვილი;
ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - ლიანა ბითაძე.

სამეცნიერო საბჭომ განიხილა თითოეული კანდიდატის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი საბუთები. დოკუმენტები სრულად შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს. კანდიდატებმა საბჭოს წარუდგინეს თავიანთი ხედვა შესაბამისი განყოფილების წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების შესახებ.

გაიმართა მსჯელობა კანდიდატურების შესახებ. **აზრი გამოთქვეს:** გიორგი ჭეიშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ნინო მინდაძემ, ვახტანგ გოილაძემ და სხვა.

სამეცნიერო საბჭოს წევრთაგან აირჩიეს ხმის დამთვლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ნ. ჯავახიშვილი (თავმჯდომარე), ე. კვაჭანტირაძე, ნ. მინდაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომ საბჭოს წევრს, რომელიც მონაწილოებს კონკურსში, არ მიეღო შესაბამისი განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე ასარჩევ კენჭისყრაში მონაწილეობა.

კანდიდატების ასარჩევად ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

ლევან გორდეზიანს ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად: მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0;
მარიამ ჩხარტიშვილს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად: მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0;
ავთანდილ სონღულაშვილს ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად; მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0;
ქეთევან ხუციშვილს საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად: მომხრე - 11 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 1;
როლანდ თოფჩიშვილს კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად: მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0;
ლიანა ბითაძეს ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად: მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს:

1. **ლევან გორდეზიანმა** დაიკავოს ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა (ვადიანი);
2. **მარიამ ჩხარტიშვილმა** დაიკავოს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა (უვადო);
3. **ავთანდილ სონღულაშვილმა** დაიკავოს, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა (ვადიანი);
4. **ქეთევან ხუციშვილმა** დაიკავოს საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა (უვადო);
5. **როლანდ თოფჩიშვილმა** დაიკავოს კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა (უვადო);
6. **ლიანა ბითაძემ** დაიკავოს ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა (უვადო).
7. ეთხოვოს ინსტიტუტის დირექტორს დაამტკიცოს სამეცნიერო–სტრუქტურული ერთეულების არჩეული ხელმძღვანელები და წარუდგინოს ბრძანება დამტკიცების შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შემდგომი მსვლელობისათვის.

მოისმინეს:

2. *მიმდინარე საკითხები.*

განიხილეს, თუ როგორ მიმდინარეობს განყოფილებებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოგზავნილი ფორმების (ღია მეცნიერება) შევსების პროცესი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: **ლავრენტი ჯანიაშვილი**

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: **ლიანა ბითაძე**

5. 05. 2022

დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2022 წლის 5 მაისის სხდომას ესწრებოდნენ
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ სონღულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ბითაძე
- გიორგი ქავთარაძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- ელდარ ბუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავროესტი ჯანიაძვილი